სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81770038134812

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120132832

რეგისტრაციის თარიღი

15.02.2012 წ

ნოტარიუსი: მარინა ჟორდანია
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 22
ტელეფონი: 99-50-61; 899 27-39-28

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №120132832;

ორიათას თორმეტი წლის თექვსმეტ თებერვალს მე, ნოტარიუს მარინა ჟორდანიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №22, შპს "სიყვარული და კოქტეილი"-ს სახელით (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან განაცხადის №119413, განაცხადის რეგ. №B10109359, ამონაწერის მომზადების თარიღი: 13.09.2010, ს/კოდი: 203825290) მომმართა გულსუნდა ბეგოიძემ და განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შპს "სიყვარული და კოქტეილი"-ს სახელით შესაბამის უფლებამოსილებას ანიჭებს ილია მარსაგიშვილს. მე დავადგინე გულსუნდა ბეგოიძეს (დაბ. 28.02.1949წ. მცხეთა, მის.: თბილისი, მნათობის ქ. №19, პირადი №01034002883, მოწმობა №გ0411989, გაც. 30.12.2003წ. დ/ჩ შსს მე-3 განყ. მიერ, უვადოდ.) პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მისი კარნახით შედგა მინდობილობა, რომელიც წაუკითხე და განვუმარტე მას მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მინდობილობას.

მინდობილობა

2012 წლის 16 თებერვალს შპს "სიყვარული და კოქტეილი"-ს სახელით მე, გულსუნდა ბეგოიძე, როგორც "მიმნდობი პირი" წინამდებარე მინდობილობით ილია მარსაგიშვილს (დაბ. 15.10.1950წ. თბილისი, მის.: თბილისი, მნათობის ქ. N 19, პირადი № 01030026697, მოწმობა №გ0274492, გაც. 31.08.2000წ. ჩუღურეთის შს სამმართველოს მიერ.), როგორც „მინდობილ პირს", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

შპს "სიყვარული და კოქტეილი"-ს მართვასთან დაკავშირებით ილია მარსაგიშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანოში, ფიზიკურ-იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შემოსავლების სამსახურში, მერიაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოსთან, აგრეთვე თანამდებობის პირებთან, სს "თიბისი ბანკში", სს "საქართველოს ბანკში", სს "პროკრედიტ ბანკში" აწარმოოს ნებისმიერი საბანკო–საფინანსო ოპერაციები. კერძოდ, ჩემი როგორც შპს "სიყვარული და კოქტეილი"-ს დირექტორის სახელით განკარგოს ნებისმიერი საბანკო ანგარიშები, აწარმოოს ფულადი გადრიცხვები, გადაიტანოს თანხა დეპოზიტზე, შეიტანოს და გამოიტანოს ფულადი თანხა, ისარგებლოს შპს "სიყვარული და კოქტეილი"-ს ბეჭდით, მიიღოს ამონაწერი, გადაიხადოს ყველა აუცილებელი საზღაური, მოსაკრებელი და ფულადი თანხა, მიიღოს და ჩააბაროს დოკუმენტები როგორც კერძო, ასევე იურიდიულ და სახელმწიფო სამსახურებში. ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ამისთვის საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუს – მარინა ჟორდანიას სანოტარო არქივში, ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით გადანდობის უფლების გარეშე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასურთან ერთად 12.00ლ. (საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილება №507, მუხლი 31.7 და მუხლი 39)

1.2. ანი „16" თებერვალს — ყოველ ერთ „15 შპს "სიყვარული და კოქტეილი"-ს სახელით

მიმნდობი: გულსუნდა ბეგოიძე ---------- გულსუნდა ბეგოიძე

ნოტარიუსი: მარინა ჟორდანია

თანხმობა

ქ. თბილისი

12 აპრილი 2023 წელი

მე, ილია მარსაგიშვილი (დაბადებული 15.10.1950 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, მნათობის ქ. N 19, პირადი № 01030026697), თანახმა ვარ, რომ შპს „სიყვარული და კოქტეილი"-ს (ს/ნ 203825290) კუთვნილი ფართის ფასადზე, მდებარე მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. N 14 (ს/კ N 01.15.05.046.005.01.557) შპს „ექსპრეს ექსჩეინჯმა“ (ს/ნ 406191561) განათავსოს სარეკლამო აბრა.

ხელმოწერა: [illegible]

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდასამი წლის თორმეტი აპრილი.

მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ წინამდებარე თანხმობაზე, რომელიც შედგენილია ერთ ცალად, ილია მარსაგიშვილის (დაბადებული 15.10.1950 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, მნათობის ქ. N 19, პირადი № 0103002669739) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია პირადად მის მიერ ჩემი თანდასწრებით. მისი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეს.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის მე-3 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, 16.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 2.88 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 23.88 ლარი.

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230471413
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.04.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42872793066323

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

10.01.2021

ერთი მხრივ, **შპს „სიყვარული და კოქტეილი“ ს/კ: 203825290წარმომადგენელი დირექტორი გულსუნდა ბეგოიძე პ/ნ:01034002883** (შემდგომში მეიჯარე) და მეორეს მხრივ, **შპს ექსპრეს ექსჩეინჯი ს/კ:406191561 წარმომადგენელი დირექტორი თამარ ბეჟაშვილი პ/N 01029013951** (შემდგომში „მოიჯარე“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად “მეიჯარე” გადასცემს, ხოლო „მოიჯარე” დროებით სარგებლობაში იღებს „მეიჯარის“ საკუთრებაში არსებულ 64.00 კვ.მ. ფართიდან, 7.00 კვ.მ ფართს (შემდგომში „იჯარის ობიექტი“), ხოლო „მოიჯარე“ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საფასური.

1.2. „იჯარის ობიექტის“ მახასიათებლებია:
საკადასტრო კოდი: # 01.15.05.046.005.01.557;
მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის 14

1.3. „იჯარის ობიექტი“ მოიჯარეს გადაეცემა **10.01.2021**-დან **10.01.2024**-მდე.

1.4. იჯარის ობიექტში განთავსდებავალუტის გადამცვლელი პუნქტი.

2. იჯარის ფასი და გადახდის პირობები

2.1. „იჯარის ობიექტით“ სარგებლობის საფასური 10.01.2021 წლიდან 10.03.2021 წლის ჩათვლით შეადგენს 600 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, ხოლო ამის შემდგომ, კერძოდ 10.03.2021-დან იჯარის ყოველთვიური საფასური, „საიჯარო ქირა“ განისაზღვროს 500 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში.

2.2. „მოიჯარე“ ასევე ვალდებულია გადაიხადოს „იჯარის ობეიქტის“ მოვლა-პატრონობის ხარჯები, რისთვისაც იგი ვალდებულია იჯარის მოქმედების მთელ პერიოდზე გადაიხადოს გამოყენებული კომუნალური ხარჯები, კერძდ ელ. ენერგია და წყალმომარაგების საფასური.

2.3. საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება წინასწარი გადახდებით, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის 10 რიცხვში.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. “მოიჯარე” ვალდებულია:

3.1.1. გამოიყენოს „იჯარის ობიექტი” მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად და არ დაუშვას „იჯარის ობიექტის“ ფუნქციის შეცვლა მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე;

3.1.2. გადაიხადოს საიჯარო ქირა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ოდენობით;

3.1.3. მოუაროს „იჯარის ობიექტს”, მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, შენობაში არსებული მოწყობილობების და

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

ინვენტარის, აგრეთვე არსებული საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები;

3.1.4. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „იჯარის ობიექტის“ დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „მეიჯარეს“ და მისი მითითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;

3.1.5. ითმინოს ყველა სახის ზემოქმედება, რომელიც ნებადართულია „მეიჯარის“ მიერ და აუცილებელია „იჯარის ობიექტის“ შესანახად ან/და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხორციელდება „მოიჯარის“ ინტერესების გათვალისწინებითაც და არსებითად არ აფერხებს მის მიერ „იჯარის ობიექტით“ სარგებლობას;

3.1.6. დაუბრკოლებელად შეუშვას „მეიჯარე“ ან მისი წარმომადგენელი საიჯარო ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების, სანიტარული და ტექნიკური პიროებების კონტროლის და შემოწმების მიზნით;

3.1.7. „მეიჯარესთან“ შეთანხმებით და თავისი ხარჯებით ჩაუტაროს საიჯარო ობიექტს მიმდინარე რემონტი და გაუმჯობესებანი მისი ნორმალური ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, ამასთან რემონტის და გაუმჯობესებების ხარჯები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება და არ ჩაეთვლება საიჯარო ქირაში;

3.1.8. დროულად გადაიხადოს დაკავებული ფართის კომუნალური გადასახდელები არსებული ტარიფებით;

3.1.9. „მეიჯარესთან“ შეთანხმების გარეშე არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც გამოიწვევს საიჯარო ობიექტის მნიშვნელოვან ცვლილებას, მათ შორის კაპიტალური რემონტი, მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ფასადის იერსახის შეცვლა და სხვა.

3.1.10. აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ ყოველგვარი ზიანი, რომელიც მიადგება საიჯარო ქონებას „მოიჯარის“ არამართლზომიერი ქმედების შედეგად.

3.1.11. ხელშეკრულების მოშლის ან შეწყვეტისას უკან დააბრუნოს იჯარის ობიექტი იმ მდგომარეობაში, რაც მას გადაცემის მომენტში ჰქონდა, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

3.1.12. „მეიჯარის“ თანხმობის გარეშე არ გასცეს „იჯარის ობიექტი“ მესამე პირებზე ქვეიჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით.

3.1.13. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

3.2. **„მეიჯარე“ ვალდებულია:**

3.2.1. ხელი შეუწყოს “მოიჯარეს” ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა, იჯარის საგნით სარგებლობის პროცესში, მათ შორის „მეიჯარესთან” შეთანხმებული რეკონსტრუქციის ან სხვა გადაკეთების განხორციელებისას;

3.2.2. უზრუნველყოს „მოიჯარის” მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

3.2.3. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

4. პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვმა მხარემ უნდა აუზღაურებს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

4.2. მოიჯარე პასუხს აგებს საიჯარო ქირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადახდაზე.

4.3. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ მიაწოდონ ერთმანეთს ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნიშნულ საიჯარო ურთიერთობებზე, კერძოდ აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი უფლებრივი თუ სხვა სახის რისკების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქონების განადგურება, დაზიანება, სანივთო ან/და სხვა უფლებებით დატვირთვა, გასხვისება ან/და სხვაგვარი შედეგი რაც შეუძლებელს გახდის ან/და გაართულებს იჯარის ობიექტით სარგებლობას.

4.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ,,მეიჯარე'' უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,მოიჯარეს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დავალიანების 0.2%-ის ოდენობით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება იჯარის ვადის ნაწილში მოქმედებს ხელშეკრულების 1.3 პუნქტით განსაზღვრული ვადით, ხოლო მხარეთა სხვა ვალდებულებების შესრულების ნაწილში, ამ ვალდებულებების შესრულებამდე.

5.2. „მეიჯარეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

5.2.1. თუ "მოიჯარე" უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.2. თუ "მოიჯარე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით და მოიჯარემ არ მიიღო ფაქტის გამოსწორების ზომები;

5.2.3. თუ "მოიჯარე" განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს „იჯარის ობიექტის" მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგება "მეიჯარეს", აღნიშნული ფაქტი უნდა იქნეს დადასტურებული ფოტო მასალით ან სხვა დამამტკიცებელი დოკუმენტებით;

5.2.4. ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი ვერ იქნება მხოლოდ ,,მეიჯარის მოთხოვნა", თუ მოიჯარის მიერ არ არის დარღვეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3. "მოიჯარეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

5.3.1. თუ "მეიჯარე" უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.3.2. თუ "მეიჯარე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;

5.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მხარეთა ორმხრივი შეთანხმების შედეგად.

5.5. ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ აღნიშნული ხდება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის გამო, დამრღვევმა მხარემ სრულად უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარჯები (ოფისის დაცლა, იჯარის შეწყვეტის რეგისტრაცია და სხვა მსგავსი ხარჯები).

5.6. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, "მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და საიჯაროქირა, იგი ასევე ვალდებულია დაცალოს-გაათავისუფლოს საიჯარო ობიექტი, რის შემდეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს „იჯარის ობიექტის" მიღება-ჩაბარების აქტი.

„მეიჯარე"

„მოიჯარე"

5.7. იმ შემთხვევაში, თუ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ „მოიჯარე“ 5 კალენდარული დღ
ვადაში არ დაცლის „იჯარის ობიექტს“ და არ ჩააბარებს მას „მეიჯარეს“, „მოიჯარეს დაეკისრებ
ვალდებულება გადაიხადოს საიჯარო ქირა იჯარის ობიექტის ფაქტობრივად ფლობის მთელ პერიოდ
ამასთან, „მეიჯარე“ უფლებამოსილია აღიდგინოს მფლობელობა „იჯარის ობიექტზე” ხოლო „მოიჯარ
გაფრთხილებიდან 10 (ათი) დღის ვადაში დაცალოს ობიექტი „მოიჯარის“ კუთვნილი ნივთებისაგან.

5.8. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ „მოიჯარის“ მიერ არ იქ
ხელშეკრულების დარღვევის არც ერთი შემთხვევა გამოვლენილი, რომელიც არ წარმოუდგენ
მოიჯარეს შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტებით და ფაქტებით, იჯარის ობიექტით სარგებლო
გაგრძელდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით ერთი წლის

6. ფორს მაჟორი.

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებ
შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობ
გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა) ზეგავლენი
რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთას გონივრულ კონტროლს დ
შესაძლებლობებს. დაუძლეველ ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება ისეთ მოვლენებს, რომლთ
წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (ფორს-მაჟორი)

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლი
აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარი
მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობი
დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული არ არის. თუ ასეთი მოვლენებ
გაგრძელდა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალო
ხელშეკრულება.

7. სხვა პირობები

7.1. მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ
ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

7.2. იმ გაუმჯობესებების დემონტაჟი, რომლებიც საჭირო იყო მხოლოდ ,,მოიჯარისათვის'' მისი საქმიანობის
სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს „მოიჯარის“ ხარჯით.

7.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი
ხელშეკრულების ან მისი სხვაპირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წეს
რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

7.4. ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

7.5. მხარეები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად
და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება.

7.6. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის დავაზე პირველი ინსტანციით განსჯად
სასამართლოს წარმოადგენსიჯარის ობიექტის მდებარეობის მიხედვით არებულ სასამართლო.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი
დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი
წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

იჯარის ხელშეკრულება

7.8. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. თითეულ მხარეს გადაეცა თითო ეგზემპლარი ხოლო ერთი ეგზემპლარი, კანონმდებლობის ან რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

7.10. შპს ,,სიყვარული და კოქტეილის“ ს/კ: 203 825 290 წარმომადგენლად და ხელმომწერ პირადწარმოდგენილი მინდობილობის საფუძველზე განისაზღვრა ილია მარსაგიშვილი პ/ნ: 01030026697

„მეიჯარე“	„მოიჯარე“
შპს სიყვარული და კოქტეილი	შპს ექსპრეს ექსჩეინჯი
ს.კ.:203825290	ს.კ.: 406191561
იურიდიული მისამართი:თბილისი, რუსთაველის 14	იურიდიული მისამართი:ქ. თბილისი ბ. ხმელნიცკის 16,
ფაქტობრივი მისამართი:თბილისი, რუსთაველის 14	ფაქტობრივი მისამართი:თბილისი, რუსთაველის 14
დირექტოი: გულსუნდა ბეგოიძე	დირექტორი: თამარ ბეჟაშვილი
მინდობილი პირი: ილია მარსაგიშვილი	
ხელმომწერი პირი:	ხელმომწერი პირი: თამარ ბეჟაშვილი

ილია მარსაგიშვილი
პ/ნ: 01030026697

თამარ ბეჟაშვილი
პ/ნ: 01029013951

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21064553, 28/06/2021 12:11:48

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ექსპრეს ექსჩეინჯი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	406191561
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	08/11/2016
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, საგორის რაიონი, ბ. ხმელნიცკის ქ., კორპ. 16ვ, ბ. 33

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: tam.bezhashvili@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - თამარ ბეჟაშვილი, 01029013951

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
თამარ ბეჟაშვილი, 01029013951	50%	
გოჩა გურგენიძე, 01024018600	50%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102021247280 21/06/2021 19:24:03**

  შ\პ\ს შპს ექსპრეს ექსჩეინჯი ს/ნ 406191561

  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**

  საფუძველი: **შეტყობინება, N00715845, 21.06.2021, შემოსავლების სამსახური**

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19112101, 15/10/2019 16:41:34

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს სიყვარული და კოქტეილი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	203825290
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	4/4-299; 05/02/1996
მარეგისტრირებელი ორგანო:	მთაწმინდის რ-ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რუსთაველის გამზ., N 14

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - გულსუნდა ბეგოიძე, 01034002883

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
გულსუნდა ბეგოიძე, 01034002883	65%	
ილია მარსაგიშვილი, 01030026697	35%	

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge